ახალი სტუდენტური საცხოვრებელი თბილისში

ბექა გიორგაძე

სამაგისტრო ნაშრომი

ბიზნესის ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ მათიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

06/22/2020/ ბექა გიორგაძე

სარჩევი

შესავალი.....1

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა 2

მეთოდოლოგია 8

შედეგები და შედეგების ინტერპრეტაცია 8

დასკვნა და დისკუსია 9

პროექტის აღწერა..... 10

ბიბლიოგრაფია 13

აბსტრაქტი

სტუდენტური ცხოვრება ყველა ადამიანის ცხოვრებაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პერიოდად ითვლება, გამომდინარე აქედან სასურველია ამ პერიოდის სასიმოვნოდ გატარება. თუმცა, ამ დროს ბევრ ისეთ პრობლემას ვაწყდებით, რომელიც ხელს გვიშლის აღნიშნული პერიოდის კომფორტულად გატარებაში. ერთ-ერთი ასეთი პრობლემა სტუდენტური საცხოვრებლების არარსებობაა თბილისში, სწორედ იქ სადაც ყველაზე მეტი უნივერსიტეტია თავმოყრილი.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩატარდა კვლევა, რომლის მთავარ ჰიპოთეზას თბილისში ახალი სტუდენტური საცხოვრებლის შექმნის აუცილებლობა და სამუშაო გეგმის შემუშავება წარმოადგენს. ჰიპოთეზის გასამყარებლად ჩატარდა სოციოლოგიური კვლევა და გამოიკითხა სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტები. გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ გამოკითხული სტუდენტების 60 % განაცხადა, რომ თბილისში საცხოვრებელი ნაქირავები აქვთ, 16 %-ის თქმით ისინი ნათესავთან ცხოვრობენ, ხოლო დარჩენილი 24 % ამბობს, რომ მათ აქვთ დროებითი თუ მუდმივი საცხოვრებელი (იგულისხმება გირაოც).

ზემოთ აღწერილი პროცესებიდან გამომდინარე, დასაბუთებით შეგვიძლია ვთქვათ რომ, თბილისში აუცილებელია ახალი სტუდენტური საცხოვრებლის შექმნა და სამუშაო გეგმის შემუშავება, სტუდენტებთან ერთად, მათი სურვილების „ნაწილობრივი“ გათვალისწინებით. ყოველივე ეს კი სტუდენტურ ცხოვრებას უფრო საინტერესოსა და შემეცნებითს გახდის.

საკვანძო სიტყვები: სტუდენტური საცხოვრებელი, სოციოლოგიური გამოკითხვა, პროცენტული მაჩვენებელი, ფუნქციური ზონა